



გალტი & თავართი

შპს-ით შვისაკლამბლობბბს

ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

4 ოქტომბერი 2023

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | evabochorishvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.8036

კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევების ხელმძღვანელი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | s.kurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.3654



ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თ/თ*	ცვლილება, წლის დასაწყისიდან	ფასის ცვლილება იან-21-დან დღემდე
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	215.0	-10.4%	-42.7%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	95.3	+9.7%	+10.9%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	8,212.5	-2.3%	-1.8%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,385.0	+3.7%	-15.8%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,365.4	-8.1%	-31.1%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	1,848.6	-4.7%	+1.3%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მვტ სთ	40.2	+19.7%	-43.1%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	213.3	-7.7%	-24.4%	

წყარო: ბლუმბერგი

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

2023 წლის სექტემბერში ნავთობის ფასი თვიურად 9.7%-ით გაიზარდა, რაც საუდის არაბეთისა და რუსეთის მიერ წარმოების შემცირების წლის ბოლომდე გაგრძელებამ გამოიწვია. ანალიტიკოსები ნავთობის ფასის 100 აშშ დოლარამდე გაზრდას ელიან, თუმცა მის ამ ნიშნულზე შენარჩუნებას ცოტა პროგნოზირებს. Goldman Sachs-ის პროგნოზით, ამერიკული ნავთობი 2023 წლის მე-4 კვარტალში 88 აშშ დოლარის ირგვლივ დასტაბილურდება, Barclays კი ევროპული ნავთობის ფასს 92 აშშ დოლარის ფარგლებში ვარაუდობს (84 აშშ დოლარი 2023 წლისთვის). ანალიტიკოსების აზრით, მოთხოვნა მცირდება (ამერიკელები ნაკლებს მგზავრობენ, ჩინეთი თავისი ნავთობის მარაგს იყენებს, ინვესტორების long პოზიციები მაქსიმუმზეა), ხოლო მიწოდება იზრდება (თუ ფასები საგრძნობლად მოიმატებს, მოსალოდნელია რომ საუდის არაბეთი გაზრდის წარმოებას).


ბუნებრივი აირი

2023 წლის სექტემბერში ბუნებრივი აირის ფასი თვიურად 19.7%-ით გაიზარდა. მიუხედავად თვიური ზრდისა, ფასი კვირის ქრილში 10.6%-ითაა შემცირებული, რაც ევროპაში თბილი ოქტომბრის მოლოდინითაა განპირობებული, თუმცა საბოლოო ზრდაზე გავლენა მიწოდების ჭაჭვთან დაკავშირებულმა რისკებმა იქონიეს. S&P Global-ის მოლოდინით, ბუნებრივ აირზე მოთხოვნა მე-4 კვარტალში მაღალი იქნება, შესაბამისად, ევროპაში მარაგები 95%-ის ნიშნულზეა. საუდის არაბეთი კი, ნავთობის შემდეგ ბუნებრივი აირის ბაზარს უერთდება - Saudi Aramco-მ MidOcean Energy-ის წილი შეისყიდა, რომელიც ავსტრალიაში ოთხ თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) პროექტს აკონტროლებს. Wood Mackenzie-ს თანახმად LNG-ზე მოთხოვნა 2050 წლამდე 70%-ით გაიზრდება, ამიტომ ნავთობის სხვა მოთამაშეებიც მსხვილ ინვესტიციებს აკეთებენ ამ ბიზნესში.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი




გრაფიკი 2: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მვტ სთ



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 3: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატი

2023 წლის სექტემბერში ამონიუმის ნიტრატის ფასი თვიურად 10.4%-ით შემცირდა, თუმცა ევროპაში ბუნებრივი აირის (სასუქების წარმოების მთავარი კომპონენტი) ფასების ვოლატილობის გამო, მისი მაღალ დონეზე შენარჩუნებაა მოსალოდნელი. შიდა ბაზარზე ფასების ზრდის გამო, სასუქების უდიდესმა მწარმოებელმა, ჩინეთმა, ადგილობრივ მწარმოებლებს ექსპორტის შემცირება მოსთხოვა. ამ სიახლის ფონზე გლობალური ინდექსები მკვეთრად გაიზარდა, ამონიუმის ნიტრატის ერთი ტონის ღირებულებამ კი 295 აშშ დოლარს მიაღწია, რაც ამა წლის იანვრის შემდეგ უმაღლესი მაჩვენებელია. თვის ბოლოს ფასი შედარებით დასტაბილურდა და 215 აშშ დოლარამდე შემცირდა. ამასთანავე, ბუნებრივი აირის ფასების ზრდის გამო, ბრიტანეთის ერთ-ერთმა მთავარმა მწარმოებელმა, CF Industries Holdings Inc.-მა ამონიუმის ნიტრატის წარმოება დროებით შეაჩერა.

ხორბალი


2023 წლის სექტემბერში ხორბლის ფასი თვიურად 7.7%-ით შემცირდა და სამი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაეცა. ხორბლის ფასები თავდაპირველად პანდემიით გამოწვეულმა მიწოდების ჭაჭვის რღვევამ გაზარდა, შემდეგ კი რუსეთ-უკრაინის ომმა. სექტემბრის პირველ სამ კვირაში ერთი ტონის ღირებულება საშუალოდ 228 აშშ დოლარს შეადგენდა, თუმცა აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, ლოკალური ხორბლის წარმოებამ და მარაგებმა მოლოდინებს გადააჭარბა, რამაც ხორბლის ფასი გლობალურად შეამცირა - ჩიკაგოს ფიქსურები 6%-ზე მეტით, შავი ზღვის კი 5.5%-ით - 213 აშშ დოლარამდე.

გრაფიკი 5: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 7: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 8: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები


სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2023 წლის სექტემბერში სპილენძის ფასი თვიურად 2.3%-ით შემცირდა. ჩინეთის სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, აგვისტოში სპილენძის ადგილობრივმა წარმოებამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. დამატებით, ლონდონის მეტალის ბირჟასა და შანხაის ფიუჩერსების ბირჟაზე მარაგები იზრდება, შესაბამისად, ფასების დაბალ ღონეზე შენარჩუნებაა მოსალოდნელი. სპილენძის ფასზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ჩინეთის ეკონომიკის არამდგრად გამოცოცხლებას აქვს. ნედლეულის უდიდესმა მომხმარებელმა, ჩინეთმა, გასულ თვეებში ეკონომიკის წახალისება არაერთხელ სცადა, თუმცა, ანალიტიკოსების აზრით, ეს საკმარისი არ იქნება წელს სპილენძის ფასის ზრდისთვის (-1.8% მიმდინარე წელს).


ფეროსილიკონი

2023 წლის სექტემბერში ევროპული ფეროსილიკონის ფასი თვიურად 8.1%-ით შემცირდა, ჩინურის კი 3.7%-ით გაიზარდა, რაც პირველი თვიური ზრდაა ამ წლის იანვრის შემდეგ. ზრდა ფასების ტრენდის ცვლილების ნაწილი იქნება თუ ღრეობითი მატება, დამოკიდებული იქნება მომავალ თვეებში ჩინეთის ეკონომიკის მდგომარეობაზე. სუსტი გლობალური მოთხოვნა და, შესაბამისად დაბალი ფასები ქართული ფეროშენადნოების ექსპორტზეც აისახა და წლიურად 69.1%-ით შემცირდა.

გრაფიკი 9: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




გრაფიკი 10: ფეროსილიკონის (75%) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 11: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 12: ფეროშენადნოების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი




ძვირფასი ლითონები

ოქრო


2023 წლის სექტემბერში ოქროს ფასი თვიურად 4.7%-ით 1,848.6 აშშ დოლარამდე შემცირდა, რაც 2023 წლის მარტის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ოქროზე მთავარი უარყოფითი გავლენა ძლიერ დოლარს აქვს. ამასთან, ინვესტორები ვარაუდობენ საპროცენტო განაკვეთების მაღალ დონეზე მეტი ხნით შენარჩუნებას, შესაბამისად, მათთვის აშშ-ს სახაზინო ობლიგაციები უფრო მიმზიდველია, ვიდრე ოქრო. გასულ თვეებში ოქროს ფასმა 2,000 აშშ დოლარს გადააჭარბა, თუმცა მიმდინარე ტრენდის ფონზე, ანალიტიკოსები მის 1,800 აშშ დოლარზე ქვემოთ შემცირებასაც ვარაუდობენ. მიუხედავად ამისა, Saxo Bank-ის პროგნოზით, ოქროზე, როგორც რეცესიის ჰეჯირების ინსტრუმენტზე, მოთხოვნა შენარჩუნდება.

გრაფიკი 13: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 14: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების, მრჩევლების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიორგი ცქიტაშვილი | g.tsikitishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ზურაბ თავკელიშვილი | ztavkeshvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge